ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 32
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ფოთი **მარტი, 2023 წ.**

ერთის მხრივ,
ს.ს.ი.პ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“, ს/კ 215082764.
მისამართი: საქართველო, ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519.
დირექტორი: რევაზ ბაბილუა. **(შემდგომში „შემსყიდველი“)**

და მეორეს მხრივ
შპს არხიტექტონი; ს/კ: 415098156
იურიდიული მის: საქართველო, ქ. ფოთი, ფაზისის ქ., № 85
ელ-ფოსტა: inga.chachua@mail.ru
ტელ: 555 97 80 15
საბანკო რეკვიზიტი: სს „საქართველოს ბანკი“; ბანკის კოდი; BAGAGE22; ა/ა: GE37BG0000000149637000
დირექტორი: ინგა ჭყონია, პ/ნ: 60002006919 **(შემდგომში "მიმწოდებელი")** საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.
1.1 „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის“ შემდეგი მომსახურების მიწოდებას, პროექტების ხარჯთაღრიცხვას, კერძოდ:

№	CPV კოდი	**გაწეული მომსახურების დასახელება**	**თანხა** **(ლარი)**
1	**71320000**	ქალაქ ფოთში, დ. თავდადებულის ქ. N 93-ში მდებარე, სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ეზოს ღობის და ტერიტორიაზე გათავსებული რკინის კონსტრქუციის ტელფერის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.	**2400,00**
2	**71320000**	ქალაქ ფოთში, დ. თავდადებულის ქ. N 93-ში მდებარე ადმინისტრაციული და დამხმარე შენობებში სამუშაო ოთახების სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.	**2400,00**
		სულ:	**4800.00** **ლარი**

2. ხელშეკრულების ღირებულება.
2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 4800.00 (ოთხიათას რვაასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. მომსახურების მიწოდების ვადები.
3.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კერძოდ:
- ქალაქ ფოთში, დ. თავდადებულის ქ. N 93-ში მდებარე, სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ეზოს ღობის და ტერიტორიაზე გათავსებული რკინის კონსტრუქციის ტელფერის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.
  არაუგვიანეს 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით
- ქალაქ ფოთში, დ. თავდადებულის ქ. N 93-ში მდებარე ადმინისტრაციული და დამხმარე შენობებში სამუშაო ოთახების სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები.
  არაუგვიანეს 2023 წლის 28 აპრილის ჩათვლით.

3.2 მომსახურების მოწოდების ადგილი: ქ. ფოთი, თავდადებულის N 93

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა.
4.1 ხელშეკრულების საერთო ფასი გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შესყიდვასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა სახის გადასახადის გათვალისწინებით.
4.2 შესყიდულ საქონელზე ანგარიშსწორება მოხდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტა – ლარში, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.3 ეტაპობრივი/საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში, ფაქტიური მიწოდების შესაბამისად.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებიდან და საანგარიშსწორებო დოკუმენტაცი(ებ)ის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი.

5.1. შესყიდული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

6.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლი“–ს მიერ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „შემსყიდველ“–ს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

ა) მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

ბ) არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო მომსახურების გაწევა (მომსახურების გაწევა, რომელიც არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის/შინაარსის მქონე.) ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით.

7. მხარეების პასუხისმგებლობა.

7.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით, ხელშეკრულების საერთო თანხის 0,05%–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 %–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში, მისი დაკავება მოხდება, მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს „შემსყიდველი“–ს მიერ გამოყოფილი თანამშრომელი, ნანა ქლიფთარი.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს „მიმწოდებლი“–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“–სთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამისილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მეორე მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს–მაჟორი.

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს–მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

10.2. „ფორს–მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.

10.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს–მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყონებლივ (ფორს–მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს–მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

10.4. ფორს–მაჟორის მიუხედავად მხარეს, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
10.5. თუ ფორს–მაჟორული მდგომარება 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა.
11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. შეტყობინება.
12.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისჭინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
12.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გააგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

13. სხვა პირობები.
13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.
13.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.
13.4 ,,მიმწოდებელმა“ ,,შემსყიდველის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულება მესამე პირს.
13.5 ხელშეკრულების დადების საფუძველია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტი (5000 ლარამდე შესყიდვა).

შემსყიდველის მხრიდან

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“–ს

დირექტორი: **რევაზ ბაბილუა**

LEPL State Hydrographic Service of Georgia

Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia
Date: 2023.03.28 10:27:59 +04'00'

მიმწოდებლის მხრიდან

Inga Tchkonia

Digitally signed by Inga Tchkonia
Date: 2023.03.28 13:31:15 +04'00'

შპს „არხიტექტონი“-ს

დირექტორი: **ინგა ჭყონია**